

შპს V V G

ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო
სტანდარტის მცირე და საშუალო საწარმოების (მსს ფასს) მიხედვით

2020 საანგარიშგებო პერიოდზე.

შინაარსი

- 1.ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება
- 2.სრული შემოსავლის ანგარიშგება
- 3.საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში
4. ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება
- 5.ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

**ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობის ანგარიში ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა
და დამტკიცებაზე 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.**

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად სახავს შპს „V V G“-ის ემდგომი-კომპანია“) ფინანსურ მდგომარეობას 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრის მდგომარეობით, მის მიერ წარმოებული ოპერაციების ედეგებს, ფულადი სახსრების მოძრაობასა და აქციონერთა კაპიტალში ცვლილებებს 2018, 2019 და 2020 წლების 31 დეკემბრით დასრულებული წლებისათვის, მსს ფასს სტანდარტების შესაბამისად.

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და მათ თანმიმდევრულ შესრულებაზე;
- ინფორმაციის წარდგენაზე, ბუღალტრული პოლიტიკის ჩათვლით, რომელიც უზრუნველყოფს მართებულ, საიმედო, შესადარის და გასაგებ ინფორმაციას;
- დამატებითი ინფორმაციის წარდგენის უზრუნველყოფაზე, იმ შემთხვევაში, თუ ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების სპეციფიური მოთხოვნები არ არის საკმარისი იმისათვის, რომ მომხმარებელმა გაანალიზოს კონკრეტული გარიგების, სხვა მოვლენებისა და პირობების გავლენა კომპანიის ფინანსურ მდგომარეობასა და შედეგებზე;
- კომპანიის მიერ ფუნქციონირებადი საწარმოს დაშვების პრინციპის საფუძველზე კომპანიის მუშაობის უნარის შეფასებაზე.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია

- კომპანიაში ეფექტური და მყარი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც წარმოადგენს და ხსნის კომპანიის გარიგებებს და ნებისმიერ დროს უზრუნველყოფს კომპანიის ფინანსური მდგომარეობის საკმარისი სიზუსტით წარდგენას და მსს ფასს შესაბამისობას;
- სავალდებულო ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე და საქართველოს კანონმდებლობისა და ბუღალტრული სტანდარტების შესაბამისად;
- კომპანიის აქტივების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად საჭირო ქმედებების განხორციელებაზე; და
- თაღლითობისა და სხვა დარღვევების თავიდან აცილებასა და აღმოჩენაზე.

2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის წარმოდგენილი ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ გამოსაქვეყნებლად დამტკიცებულია და მენეჯმენტის სახელით ხელმოწერილია 2021 წლის 20 სექტემბერს

დირექტორი:



ვახტანგ ვასაძე

შპს "V V G" - ს

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 2019 და 2018 წლების დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

აქტივები	შენიშვნა	2020	2019	2018
გრძელვადიანი აქტივები				
ძირითადი საშუალებები	შენიშვნა 5	1 538 101	1 608 881	1 500 553
არამატერიალური აქტივი		732 654	988 364	297
სხვა გრძელვადიანი აქტივი		778 163	565 852	0
სულ გრძელვადიანი აქტივები		3 048 918	3 163 097	1 500 850
მოკლევადიანი აქტივები				
მიმდინარე მარაგები	შენიშვნა 6	368 422	264 230	680 983
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	შენიშვნა 7	2 529 352	1 644 687	847 417
ფულადი სახსრები და მათივ ექვივალენტები	შენიშვნა 8	68 871	318 644	132 074
პერსონალის მიმართ მოთხოვნები		0	0	0
გადახდილი ავანსები	შენიშვნა 9	151 601	139 154	5 122
სხვა აქტივი		0	24 881	14 258
სულ მოკლევადიანი აქტივები		3 118 247	2 391 595	1 679 854
სულ აქტივები		6 167 164	5 554 693	3 180 704
ვალდებულებები და კაპიტალი				
მთლიანი კაპიტალი				
დაუფარავი ზარალი/გაუნაწილებელი მოგება		1 904 083	1 315 269	1 158 544
მიმდინარე წლის შედეგი		-299 478	588 814	156 725
საწესდებო კაპიტალი	შენიშვნა 10	0	22 100	22 800
სულ მთლიანი კაპიტალი		1 604 604	1 926 183	1 338 069
გრძელვადიანი ვალდებულებები				
მიღებული გრძელვადიანი სესხები და კრედიტები	შენიშვნა 11	2 030 980	1 976 370	514 245
საიჯარო ვალდებულება	შენიშვნა 12	850 944	492 012	0
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები		2 881 924	2 468 382	514 245
მოკლევადიანი ვალდებულებები				
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	შენიშვნა 13	822 289	605 192	762 217
მიღებული ავანსი	შენიშვნა 14	6 704	0	1 915
გადასახდელი ხელფასი		0	0	0
მიმდინარე საგადასახადო ვალდებულება	შენიშვნა 15	16 838	0	0
გრძელვადიანი ვალდებულებების მიმდინარე ნაწილი		833 639	550 960	564 258
სხვა ვალდებულება		1 166	3 977	0
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები		1 680 635	1 160 129	1 328 391
სულ ვალდებულებები		4 562 560	3 628 511	1 842 636
სულ კაპიტალი და ვალდებულებები		6 167 164	5 554 693	3 180 705

შპს "V V G" - ს

დირექტორი

ფინანსისტი

5 დან 15-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.



შპს "V V G "

სრული შემოსავლი ანგარიშგება

2020 2019 და 2018 წლების დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

შენიშვნა		2020	2019	2018
ამონაგები	შენიშვნა 16	3 024 933	3 478 973	1 998 144
- საქონლის გაყიდვიდან		2 647 256	3 161 808	1 695 148
- მომსახურების გაწევიდან		377 676	317 165	302 996
- სამშენებლო ხელშეკრულებებიდან			0	0
- სხვა				
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	შენიშვნა 17	-1 895 093	-2 122 906	-1 309 533
საერთო მოგება	0	1 129 839	1 356 067	688 612
სხვა საოპერაციო შემოსავალი	0		0	0
მიწოდების ხარჯი				
ზოგადი და ადმინისტრაციული ხარჯი	შენიშვნა 18	-697 585	-304 782	-379 660
საოპერაციო ხარჯი		-697 585	-304 782	-379 660
საოპერაციო მოგება		432 255	1 051 286	308 952
საკუროსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარ	შენიშვნა 19	-640 298	-47 568	-89 447
საპროცენტო ხარჯი	შენიშვნა 20	-250 821	-85 130	-75 461
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	შენიშვნა 21	159 385	91 278	12 681
სხვა არასაოპერაციო ხარჯი				
არასაოპერაციო მოგება		-731 733	-41 419	-152 227
მოგება დაბეგვრამდე		-299 479	1 009 866	156 725
მოგების გადასახადის ხარჯი			0	0
მოგება დაბეგვრის შემდეგ				
გადაფასების რეზერვი			0	0
მოცემული წლის სრული შემოსავალი				

შპს "V V G "

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



გაბრიელ გასაძე

რეზო ვანიძე

16 დან 21 ის ჩათვლით ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "V V G" - ს

საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიში

2020 2019 და 2018 წლების დასრულებული პერიოდისთვის

საანგარიშგებო ვალუტა ლარი

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	დაუფარავი ზარალი	მოგების გადასახადი რეზერვი	აღფასებულ საკუთარი კაპიტალი
2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	298 332	1 158 543	0		1 456 875
2018 წლის კაპიტალის ცვლილება	-275 532	156 725	0	0	1 338 069
2019 წლის კაპიტალის ცვლილება	-421 753	1 009 866	0	0	1 926 183
2020 წლის კაპიტალის ცვლილება	-22 100	-299 478	0	0	1 604 604
2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით	-421 053	2 025 656	0	0	1 604 604


შპს "V V G" - ს

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

ვახტანგ ვასაძე

რეზო ვანიძე



[Handwritten signature in blue ink]

[Handwritten signature in blue ink]

დან 15-ის ჩათვლით წარმოდგენილი შენიშვნები წინამდებარე ფინანსური ანგარიშების განყოფილი ნაწილია.

შპს "V V G"-ს

ფულადი სახსრების მოძრაობის ანგარიშგება

2020 2019 და 2018 წლების დასრულებული პერიოდისთვის
საანგარიშგებო ვალუტა ლარი

ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან	2020	2019	2018
მომხმარებლისგან მიღებული ფულადი სახსრები	2734158	3378859	1699972
მომწოდებლისთვის გადახდილის ფულადი სახსრები	-3410045	-2039560	-799362
თანამშრომლებისთვის გადახდილი ფულადი სახსრები	-215480	-91220	-69445
გადახდილი სხვა საბიუჯეტო გადასახადი	-271763	-367300	-106967
გადახდილი პროცენტი	-250821	-85130	-75461
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	-1413951	795649	648737
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან			
ძირითადი საშუალების შეძენა	-687447	-1102297	-607530
მიღებული სესხი	2685834	1508800	727890
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან	1998387	406503	120360
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან			
მიღებული კაპიტალი	182000	225500	314780
შემცირებული კაპიტალი	-204080	-226200	-590312
გადახდილი სესხის ძირითადი თანხა	-812129	-593829	-406926
გადახდილი დივიდენდები	0	-421053	-73768
წმინდა ფულადი სახსრები საფინანსო საქმიანობიდან	-834209	-1015582	-756226
წმინდა გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტი ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	0		
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის დასაწყისისათვის	318644	132074	119203
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები საანგარიშგებო პერიოდის ბოლოსათვის	68871	318644	132074

შპს "V V G"-ს

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



ფინანსური ანგარიშგებაში გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა და განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია კომპანიის შესახებ

შპს „V V G“ (შემდეგ - კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც დაფუძნდა 2011 წლის 19 აპრილს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, მარეგისტრირებული ორგანო სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომრით 446754272. კომპანია რეგისტრირებულია დღგ-ს გადამხდელად 2011 წლის 20 აპრილს.

კომპანიის იურიდიული საქართველო, ქედის რაიონი სოფელი ცხმორისი ფაქტიური მისამართი: ქ.ბათუმი ოპიზრების 10.

კომპანიის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს: ღორღიანი და ქვიშოვანი კარიერების დამუშავება.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დირექტორია:

1. ვახტანგ ვასაძე / 61008008385/საქართველო/.

ფინანსური ანგარიშგების შედგენის თარიღისთვის კომპანიის დამფუძნებელია:

1. ვახტანგ ვასაძე / 61008008385/საქართველო/ -100 % .

კომპანიას არ გააჩნია შვილობილი საწარმოები და კომპანია თავის ფინანსურ ანგარიშგებას წარადგენს დამოუკიდებლად, მას არ გააჩნია კონსოლიდირებული ანგარიშგების მომზადების და წარდგენის ვალდებულება.

საწარმო ფულადი სახსრების ძირითად ნაწილს გამოიმუშავებს და ხარჯავს საქართველოში, რომელიც წარმოადგენს მის ძირითად ეკონომიკური გარემოს. შესაბამისად, საწარმოს სამუშაო ვალუტა და ფინანსური ანგარიშგების წარსადგენი ვალუტაა ქართული ლარი.

ფინანსური ანგარიშგება არის ერთი საწარმოს ანგარიშგება 2020 წლის პირველი იანვრით დაწყებული და 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო პერიოდისათვის. ფინანსური ანგარიშგების თანხები დამრგვალებულია ერთეულამდე სიზუსტით.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკა

მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოებისათვის ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტით (მსს ფასს). საწარმოს ფინანსური ანგარიშგების შედგენისას გამოიყენება პირვანდელი ღირებულების შეფასების მეთოდი. აქტივის აღრიცხვა ხდება მისი შეძენის დროს გადახდილი ფულადი სახსრების ან მათი ექვივალენტების ოდენობით, ან იმ რეალური ღირებულებით, რომელიც უნდა გადახდილიყო მისი შეძენის მომენტში. ვალდებულება აღირიცხება იმ აქტივის თანხის სიდიდით, რომელიც მიღებულია მოცემული ვალდებულების სანაცვლოდ. საწარმო არ ფლობს ისეთ ინსტრუმენტებს, რომელთა შეფასებაც უნდა მომხდარიყო რეალური ღირებულებით

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია მომავალში მისი ფუნქციონირების ასპექტიდან გამომდინარე, რომელიც გულისხმობს მომსახურებიდან მისაღები შემოსულობების და ვალდებულებების დაფარვას ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში. ამდენად ფინანსური ანგარიშგება არ შეიცავს ასახული აქტივების რაიმე კორექტირებას, რომელიც აუცილებელი იქნებოდა, თუ საწარმო ვერ შეძლებდა გაეგრძელებინა თავის ჩვეულებრივი საქმიანობა მომავალში.

ხელმძღვანელობას მიაჩნია, რომ მიზანშეწონილია ფინანსური ანგარიშგება მოამზადოს საქმიანობის უწყვეტობის პრინციპის საფუძველზე. ხელმძღვანელობა ითვალისწინებს ზემოთ აღწერილ ფაქტებს უწყვეტობის შესახებ დაშვებების ადეკვატურობის შეფასებისას.

3 სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

ზოგადი

საწარმო წინა წლებში წარმოადგენდა მე-4 კატეგორიის საწარმოს, ვინაიდან ის პირველად იყენებს მსს ფასს -ფინანსური ანგარიშგების მომხმარებლების მიერ კომპანიის ფინანსური მდგომარეობისა და მისი საქმიანობის შედეგების ტენდენციების გაანალიზების მიზნით, შესადარისობის პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილად მივიჩნიეთ ფინანსური ანგარიშგების უწყისებში შეგვეტანა წინა 2018 და 2019 წლების საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური ინფორმაცია.

ფინანსური ანგარიშგება მოიცავს:

- ა) ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშგებას.
- ბ) სრული შემოსავლის ანგარიშგებას.
- გ) საკუთარი კაპიტალის მოძრაობის ანგარიშგებას
- დ) ფულადი ნაკადების ანგარიშგებას(პირდაპირი მეთოდით)
- ე) განმარტებით შენიშვნებს.

ფინანსურ ანგარიშგებაში ყველა თანხა წარმოდგენილია ლარში.

საანგარიშგებო პერიოდს წარმოადგენს სრული კალენდარული წელი.

(ა) უცხოური ვალუტა

კომპანიის სამუშაო ვალუტაა ლარი, რადგანაც ეს არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ეწევა საქმიანობას. უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები საწყისად აღიარდება ოპერაციის დღის კურსის შესაბამისად.

უცხოურ ვალუტაში ასახული აქტივები და ვალდებულებები გადაიანგარიშება საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის გაცვლის ოფიციალური კურსის შესაბამისად. კონვერტაციის დროს წარმოშობილი კურსთაშორის სხვაობები აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში

წლის ბოლოს კონვერტაცია არ ეხება არაფულად აქტივებს. არაფულადი აქტივები, რომლებიც შეფასებულია უცხოური ვალუტით, პირვანდელი ღირებულების მეთოდით გადაიანგარიშება ოპერაციის შესრულების თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსით.

კურსები საანგარიშო პერიოდის ბოლოს :

დოლარი

31.12.2018 – 2.6766

31.12.2019 – 2.8677

31.12.2020 – 3.2766

ევრო

31.12.2018 – 3.0701

31.12.2019 – 3.2095

31.12.2020 – 4,0233

(ბ) შემოსავლის აღიარება

შემოსავალი აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. შემოსავალი შემცირებულია მოსალოდნელი უკანდაბრუნებით, მოსალოდნელი ფასდაკლებით და მსგავსი ანარიცხებით.

პროდუქციის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლები

პროდუქციის გაყიდვის შედეგად მიღებული ამონაგების აღიარება ხდება მაშინ, როდესაც დაკმაყოფილებული იქნება ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა:

- ა) კომპანია მყიდველს გადასცემს პროდუქციის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკს და სარგებელს;
- ბ) კომპანია არ ინარჩუნებს უწყვეტ მენეჯერულ მონაწილეობას იმ დონით, რომელიც, ჩვეულებრივ, საკუთრების უფლებასთან ასოცირდება და არც გაყიდულ საქონელზე ეფექტურ კონტროლს არ ახორციელებს;
- გ) შესაძლებელია ამონაგების თანხის საიმედოდ განსაზღვრა;
- დ) მოსალოდნელია, რომ მოცემული ოპერაციიდან საწარმო მიიღებს ეკონომიკურ სარგებელს; და შესაძლებელია მოცემულ ოპერაციასთან დაკავშირებული უკვე გაღებული ან მომავალ პერიოდში გასაწევი ხარჯების საიმედოდ განსაზღვრა.

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები

მომსახურების გაწევიდან მიღებული შემოსავლები აღიარდება როცა დაკმაყოფილებულია შემდეგი პირობები:

- ა) ამონაგების თანხის განსაზღვრა შესაძლებელია საიმედოდ;
- ბ) მოცემული ოპერაციიდან მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში;
- გ) შესაძლებელია მომსახურების მიწოდების ხელშეკრულების შესრულების სტადიის საიმედოდ დადგენა, საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს;
- დ) შესაძლებელია მომსახურებაზე უკვე გაწეული და ხელშეკრულების მთლიანად შესრულებისათვის საჭირო დანახარჯების საიმედოდ შეფასება.

(გ) სავაჭრო ვალდებულებები და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები არის ჩვეულებრივი საოპერაციო საქმიანობის ფარგლებში გაწეული სერვისის ან მიწოდებული საქონლის სანაცვლოდ მომხმარებლებისგან მისაღები თანხები. იმ შემთხვევაში, თუ მოთხოვნის დაფარვა მოსალოდნელია საანგარიშგებო პერიოდის შემდეგ თორმეტი თვის განმავლობაში ან ნაკლებ პერიოდში (ან მიმდინარე საოპერაციო ციკლის მანძილზე, თუ ეს ბიზნესისთვის დამახასიათებელია), წინააღმდეგ შემთხვევაში, ისინი კლასიფიცირდება, როგორც გრძელვადიანი აქტივები. სავაჭრო და სხვა მოთხოვნების აღიარება თავდაპირველად ხდება რეალური ღირებულებით.

დებიტორულ და ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ სავაჭრო ვალდებულებებს პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნა-ვალდებულებები გადაანგარიშდება ორგანიზაციის ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით, საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება არასაოპერაციო შემოსავალში ან არასაოპერაციო ხარჯებში.

ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნა-ვალდებულებების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი ან გადასახდელი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი ან შემოსავალი აღიარდება მოგება/ზარალში.

(დ) გადასახადები

დამატებული ღირებულების გადასახადი

შემოსავლების, ხარჯებისა და აქტივების აღიარება ხდება დამატებული ღირებულების გადასახადის თანხის გამოკლებით, ქვემოთ ჩამოთვლილი შემთხვევის გარდა:

► თუ აქტივების ან მომსახურების შესყიდვაზე დარიცხული დამატებული ღირებულების გადასახადი არ ექვემდებარება საგადასახადო ორგანოსგან დაბრუნებას, რა შემთხვევაშიც დამატებული ღირებულების გადასახადის აღიარება მოხდება აქტივის შესყიდვაზე გაწეულ დანახარჯებში ან ხარჯის მუხლში, კონკრეტული შემთხვევიდან გამომდინარე.

ქონების გადასახადი

ქონების გადასახადით დაბეგვრის ობიექტია, კომპანიის საკუთრებაში არსებული გრძელვადიანი აქტივები, ქონების კუთვნილი გადასახადი გაიანგარიშება წელიწადში ერთხელ ქონების საშუალო წლიური ღირებულებიდან და წელიწადში ერთხელ გასული წლის გადასახადის ოდენობით მიმდინარე გადასახადის სახით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადით იბეგრება დივიდენდების სახით იმ აქციონერებზე განაწილებული მოგება, რომლებიც არიან ფიზიკური პირები ან არარეზიდენტები საქართველოში, და არა მოგებას, რომელიც მიღებული იქნა. დივიდენდების განაწილებაზე გადასახდელი გადასახადის ოდენობა დაანგარიშდება განაწილებული წმინდა თანხიდან 15/85 განაკვეთის გამოყენებით. საქართველოს საგადასახადო კოდექსი ასევე ითვალისწინებს მოგების გადასახადით გარკვეული ოპერაციების დაბეგვრას, რომლებიც შეიძლება ჩაითვალოს მოგების განაწილებად, როგორიცაა მაგალითად, არასაბაზრო ფასად შესრულებული გარიგებები, ბიზნესსაქმიანობასთან დაუკავშირებელი ხარჯები ან საქონლისა და მომსახურების უსასყიდლო მიწოდება. ასეთი ოპერაციების დაბეგვრა სცდება ბასს 12-ის „მოგებიდან გადასახადები“ მოქმედების არეალს და 2017 წლის 1 იანვრიდან აღირიცხება საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული გადასახადების მსგავსად.

(ე) ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები შედგება საღაროში არსებული ნაღდი ფულისა და საბანკო ანგარიშებზე არსებული ფულადი სახსრებისგან. ფულად ექვივალენტებში ჩაირთვება სამ თვემდე დაფარვის მაღალლიკვიდური ინვესტიციები, რომელთა გადაქცევა ფულად ფორმაში შეიძლება ადვილად და მათი ღირებულების შეცვლის რისკი მინიმალურია.

(ვ) ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ისტორიულ ღირებულებას გამოკლებული დაგროვილი ცვეთა და გაუფასურება

თავდაპირველი აღიარება და შეფასება

ძირითადი საშუალებები თავდაპირველად აღიარდება თვითღირებულებით. თვითღირებულება შეძენის ფასთან ერთად მოიცავს პირდაპირ დანახარჯებს და მათთან დაკავშირებული ნებისმიერი მომავალი ვალდებულების მიმდინარე ღირებულებას, ისევე როგორც მიმდინარე შესყიდვის ფასს, ასევე აქტივთან უშუალოდ დაკავშირებულ დანახარჯებს, რომელიც აუცილებელია აქტივის სამუშაო მდგომარეობაში მოსაყვანად.

იმ შემთხვევაში, თუ ძირითადი საშუალების თითოეულ კომპონენტს გააჩნია განსხვავებული ექსპლუატაციის პირობები, მაშინ ამდგარი აქტივთა ჯგუფი აღირიცხება ინდივიდუალურად. მოგება ან ზარალი ძირითადი საშუალებების გასვლის შედეგად განისაზღვრება საბალანსო ღირებულებისა და მიღებული თანხის შედარებით და ჩაირთვება სხვა შემოსავლების/ხარჯების კატეგორიაში, სრული შემოსავლის ანგარიშგებაში.

შემდგომი ხარჯები

შემდგომი ხარჯები ჩაირთვება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება, როგორც დამოუკიდებელი აქტივი, მხოლოდ მაშინ, როდესაც შესაძლებელია აღნიშნული ტიპის დანახარჯისაგან მომავალი ეკონომიკური სარგებლის მიღება და შესაძლებელია მისი ღირებულების საიმედოდ განსაზღვრა. შეცვლილი კომპონენტის საბალანსო ღირებულება ჩამოიწერება. ყველა სახის სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია მიმდინარე ტიპის რემონტებთან, აღიარდება, როგორც ხარჯი მისი გაწევის პერიოდში.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ხდება ძირითადი საშუალებების და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რამე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის ანაზღაურებადი ღირებულება და შედარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგება/ზარალში

ძირითადი საშუალებების ცვეთა

ცვეთის აღიარება მოგებაში ან ზარალში ხდება ძირითადი საშუალებების თითოეული ნაწილის სასარგებლო გამოყენების სავარაუდო ვადაზე ცვეთის დარიცხვის წრფივი მეთოდით, რადგან იგი ყველაზე ზუსტად ასახავს აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელ ათვისებას. ცალკეული აქტივის მნიშვნელოვანი კომპონენტები ფასდება და თუ ამ კომპონენტს აქტივის დანარჩენი ნაწილისგან განსხვავებული სასარგებლო გამოყენების ვადა აქვს, მისი ცვეთა განსხვავებულად ხორციელდება. მიწის ცვეთა არ ხდება.

ძირითადი საშუალებები	სასარგებლო გამოყენების ვადები
მანქანა დანადგარები	10 წელი
შენობა ნაგებობა	50 წელი
მანქანა დანადგარი	10 წელი
ოფისის აღჭურვილობა	10 წელი
სატრანსპორტო საშუალებები	10 წელი
სხვა გრძელ.აქტივი	5 წელი
სხვა წვრილი დანადგარი	10 წელი
არამატერიალური აქტივები	10 წელი

აღიარების შეწყვეტა

თავდაპირველად აღიარებული ამა თუ იმ ძირითადი საშუალებისა და მისი ნებისმიერი მნიშვნელოვანი ნაწილის აღიარება წყდება მისი გასხვისების დროს ან მაშინ, როდესაც მისი ექსპლუატაციიდან ან გასხვისებიდან სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარაა მოსალოდნელი. აქტივის აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება თუ ზარალი (რომელიც გამოითვლება, როგორც გასხვისებიდან წმინდა შემოსულობასა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა) აისახება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში, აქტივის აღიარების შეწყვეტისთანავე.

აქტივების ნარჩენი ღირებულება, სასარგებლო გამოყენების ვადა და ცვეთის დარიცხვის მეთოდები გადაისინჯება ყოველწლიურად და, საჭიროების შემთხვევაში, კორექტირდება შესაბამისად.

(ზ) არამატერიალური აქტივები

არამატერიალური აქტივები თავდაპირველი აღიარებისას ფასდება თვითღირებულებით, რასაც აკლდება დარიცხული ამორტიზაცია და გაუფასურებით გამოწვეული დანაკარგები, ასეთის არსებობის შემთხვევაში. არამატერიალური აქტივების სასარგებლო გამოყენების ვადა ფასდება სასრულად და შეზღუდულია 5-15 წლამდე.

სასრული სასარგებლო ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზება ხდება სასარგებლო გამოყენების ვადის პერიოდში და გაუფასურების ოდენობის დასადგენად გადაფასდება მაშინ, როდესაც რამე მიანიშნებს ამ არამატერიალური აქტივის შესაძლო გაუფასურებაზე. ამორტიზაციის პერიოდი და მეთოდი სასარგებლო გამოყენების სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივის შემთხვევაში მინიმუმ ყოველი ანგარიშგების პერიოდის ბოლოს გადაისინჯება. მოსალოდნელი სასარგებლო გამოყენების ვადის ან აქტივიდან მიღებული სამომავლო ეკონომიკური სარგებლის მოსალოდნელი ათვისების ცვლილება აღირიცხება ამორტიზაციის პერიოდის ან მეთოდის შესაბამისად შეცვლით და განიხილება, როგორც საადრიცხვო შეფასებებში მომხდარი ცვლილება. სასრული ვადის მქონე არამატერიალური აქტივების ამორტიზაციის ხარჯის აღიარება ხდება სრული შემოსავლის ანგარიშგებაში არამატერიალური აქტივების ფუნქციების შესაბამის ხარჯის კატეგორიაში.

კომპანია არ ფლობს სასარგებლო გამოყენების შეუზღუდავი ვადის მქონე არამატერიალურ აქტივებს. არამატერიალური აქტივების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული მოგება ან ზარალი ფასდება, როგორც გასხვისების შედეგად მიღებულ წმინდა შემოსავალსა და აქტივის საბალანსო ღირებულებას შორის სხვაობა და მისი აღიარება ხდება მოგებაში ან ზარალში, როდესაც აქტივის აღიარება წყდება.

(თ) სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგების საწყისი აღიარება ხდება თვითღირებულებით და შემდგომ თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. თვითღირებულება მოიცავს შეძენის და სხვა ხარჯებს, რომლებიც დაკავშირებულია მარაგების ტრანსპორტირებასა და დასაწყობებასთან. მარაგების თვითღირებულება მცირდება მიღებული ფასდაკლებით. მარაგების შეძენის დანახარჯები მოიცავს მათი შეძენის ფასს, საიმპორტო საბაჟო გადასახადს და სხვა გადასახადებს (გარდა იმ გადასახადებისა, რომლებიც საგადასახადო ორგანოებმა კომპანიას უნდა დაუბრუნოს), სატრანსპორტო, დატვირთვა-გადმოტვირთვის დანახარჯებს და, საერთოდ, იმ დანახარჯებს, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული მზა პროდუქციის, ნედლეულის, მასალებისა და მომსახურების შეძენასთან.

სხვადასხვა სახის ფასდათმობები არ ჩაირთვება შეძენის დანახარჯების გაანგარიშებებში.

გასაყიდად გამიზნული მარაგების გაყიდვის თვითღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი მეთოდით.

მარაგების გაყიდვის შემთხვევაში მისი საბალანსო ღირებულების აღიარება ხდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც აღიარდება მისი შესაბამის შემოსავალი. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულებამდე ჩამოწერის თანხებიც აღიარდება იმ პერიოდის ხარჯად, როდესაც ხდება ჩამოწერა ან ადგილი აქვს დანაკარგებს. მარაგების ნეტო სარეალიზაციო ღირებულების გაზრდით გამოწვეული ნებისმიერი ჩამოწერის უკუგატარების (ანულირების) თანხა კი აღიარდება იმ მარაგების თანხის შემცირებად, რომელიც ხარჯადაა აღიარებული პერიოდში, როდესაც მოხდა უკუგატარება.

(ი) მომუშავეთა გასამრჯელო

საწარმო დასაქმებულ პირებზე გადასხდელი გასამრჯელოს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია ხელფასთან, ფასიან შვებულებასთან და ბიულეტენთან, აღიარებს იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დასაქმებული პირები გასწევენ შესაბამის მომსახურებას. მომუშავეთა მოკლევადიან გასამრჯელოებთან დაკავშირებული გასამრჯელოები ფასდება იმ თანხის არადისკონტირებული ოდენობით, რომლის გადახდასაც საწარმო აპირებს გაწეული მომსახურებისათვის. ვალდებულების სახით აღიარებული მოკლევადიანი გასამრჯელო აღიარდება როგორც ხარჯი, თუ სტანდარტის რომელიმე თავი არ მოითხოვს, რომ გასამრჯელოები ჩაირთოს აქტივის თვითღირებულებაში. ანალოგიურად, ანაზღაურებადი შვებულების ფორმის დასაქმებული პირის მოკლევადიანი გასამრჯელოებისთვის მოსალოდნელი დანახარჯი აღიარდება იმ საანგარიშგებო პერიოდში, როდესაც დაფიქსირდება სამუშაოზე არყოფნის ფაქტი.

(კ) ანარიცხები, პირობითი ვალდებულებები და პირობითი აქტივები

პირობითი ვალდებულებები არ აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც მოსალოდნელია ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან, და შესაძლებელია ამ ვალდებულების საიმედოდ შეფასება.

პირობითი ვალდებულებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ფინანსური ანგარიშგების განმარტებით შენიშვნებში, გარდა ისეთი პირობითი ვალდებულებებისა, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის გასვლა კომპანიიდან არ არის მოსალოდნელი.

ფინანსურ ანგარიშგებაში არ აისახება პირობითი აქტივები, მაგრამ ისეთი ფინანსური აქტივების შესახებ ინფორმაცია, რომლებთან დაკავშირებული ეკონომიკური სარგებლის შემოსვლა კომპანიაში შესაძლებელია - აისახება განმარტებით შენიშვნებში. იმ შემთხვევაში, თუ კომპანიას აქვს რწმუნება, რომ ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში, მაშინ მასთან დაკავშირებული აქტივი და შემოსავალი აისახება იმ პერიოდის ფინანსურ ანგარიშგებაში, როდესაც ადგილი ქონდა შეფასების ცვლილებას.

ანარიცხი წარმოადგენს ვალდებულებას, რომელიც დაკავშირებულია რაოდენობრივ და დროით განუსაზღვრელობებთან. ვალდებულება კი წარმოადგენს კომპანიის მიმდინარე დავალიანებას, რომელიც წარმოიშვა წარსული მოვლენის შედეგად, და რომლის დაფარვა გამოიწვევს კომპანიიდან ეკონომიკური სარგებლის გადინებას.

ვალდებულების წარმომშობი მოვლენა არის მოვლენა, რომელიც წარმოშობს სამართლებრივ ან კონსტრუქციულ ვალდებულებას, რაც გულისხმობს, რომ კომპანიას არ გააჩნია სხვა რეალური ალტერნატივა, და მან უნდა დაფაროს თავისი ვალდებულებები. სამართლებრივი ვალდებულება გამომდინარეობს:

- გარიგებიდან (ხელშეკრულებაში დაფიქსირებული ან ნაგულისხმევი პირობების გათვალისწინებით);
- კანონმდებლობიდან; ან
- სხვა სამართლებრივი ქმედებიდან.

კონსტრუქციული ვალდებულება გამომდინარეობს კომპანიის ქმედებიდან, სადაც:

წარსულში დადგენილი პრაქტიკიდან, კომპანიის მიერ გამოქვეყნებული პოლიტიკიდან ან სპეციფიკური მიმდინარე ანგარიშებიდან გამომდინარე, კომპანია მიაწოდებს სხვა მხარეებს, რომ იგი იღებს გარკვეულ პასუხისმგებლობებს; და

- შედეგად, მესამე მხარეს კომპანიასთან მიმართებაში გააჩნია გარკვეული მოლოდინი, რომ იგი შეასრულებს ამ პასუხისმგებლობებს.

(ლ) ფინანსური ინსტრუმენტები

კომპანიას ფინანსურ აქტივებსა და ვალდებულებებში მოიაზრება ნებისმიერი აქტივი, რომელიც წარმოადგენს: ფულად სახსრებს, სხვა საწარმოს წილობრივ ინსტრუმენტს და სხვა საწარმოსგან ფულადი სახსრების ან სხვა ფინანსური აქტივის მიღების სახელშეკრულებლო უფლებას. ფინანსური აქტივის თვითღირებულების აღიარება ხდება თავდაპირველი აღიარების მომენტში განსაზღვრული ღირებულებით, რომელსაც ემატება თავდაპირველი აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე დამატებით დარიცხული საპროცენტო შემოსავალი, აკლდება თავდაპირველად აღიარების თარიღიდან საანგარიშგებო თარიღამდე მიღებული ძირისა და პროცენტის თანხები და აკლდება გაუფასურების ზარალის თანხა.

საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში კომპანია არ იყენებდა რაიმე ტიპის სვოპ და ფორვარდულ კონტრაქტებს, სავალუტო და საპროცენტო რისკების შემცირებისთვის.

(მ) ხარჯად აღიარება

ხარჯების აღიარება ხდება მოგებისა და ზარალის ანგარიშგებაში, თუ წარმოიშობა მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირება, რაც დაკავშირებულია აქტივის შემცირებასა ან ვალდებულების ზრდასთან, რაც შეიძლება საიმედოდ განისაზღვროს. საზოგადოება ნასესხებ სახსრებთან დაკავშირებულ ყველანაირი დანახარჯს აღიარებს როგორც ხარჯს იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც ეს დანახარჯები იყო გაწეული.

(ნ) გარიგებები დაკავშირებულ მხარეებს შორის

წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში მხარეები განიხილებიან დაკავშირებული მხარეების სახით, თუ ისინი იმყოფებიან საერთო კონტროლის ქვეშ, კერძოდ ორივე საწარმოს აკონტროლებს ერთი და იგივე პიროვნება. თითოეულ დაკავშირებულ მხარეს შორის ყოველი შესაძლო ურთიერთობის განხილვისას ყურადღება გამახვილებულ უნდა იქნას უშუალოდ ამგვარი ურთიერთობის არსზე და არა მხოლოდ სამართლებრივ ფორმაზე.

(ო) ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

4. მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასება

კომპანია ახდენს გარკვეული სააღრიცხვო შეფასებებისა და დაშვებების შემუშავებას მომავალ პერიოდებთან დაკავშირებით. მსგავსი შეფასებები და დაშვებები მუდმივად მუშავდება ისტორიულ გამოცდილებასა და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით, მათ შორის, ისეთი მომავალი მოვლენების გათვალისწინებით, რომელიც მოსალოდნელია გონივრულ ფარგლებში. მომავალში მიღებული ფაქტობრივი შედეგი შესაძლოა განსხვავდებოდეს აღნიშნული შეფასებებისა და დაშვებებისგან.

5. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2018, 2019 და 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

შპს "ვგ" -ს ძირითადი საშუალებების მოძრაობა 2020-2019 და 2018 წლების დასრულებული პერიოდისთვის

		საანგარიშგებო ვალუტა ლარი									
		დასახელება		2230	2240	2250	2260	2281	2282	2500	ჯამი
		2110	2130	2140	2150	2160	2181	2182	2600		
სტრუქტურული დირექტორები		მიწა		შენიშვნა	ნაგებობები	დაგეგმვა- თანაბარი	ოფისის აქტივები	სხვა	სატრანსპორტო რეზერვები	დარიზგები	არამატაქტ გამართად
2018	საწყისი ნაშთი 2018 1 იანვრის მდგომარეობით	243 500	54 750	10 013	377 754	2 397	7 760	634 846	0	1 099	1 332 119
2018	შესყიდვები	0	40778	646 534	18 217	12 461	4 918	186 936	0	0	909 844
2018	გაყიდვები და ჩამორეზა	0	0	0	0	0	0	45 /06	0	0	45 706
2018	საბოლოო ნაშთი 2018 31 დეკემბრის მდგომარეობით	243 500	95 528	655 725	395 971	14 858	12 678	776 076	0	1 099	2 194 336
2019	საწყისი ნაშთი 2019 1 იანვრის მდგომარეობით	243 500	95 528	655 725	395 971	14 858	12 678	776 076	0	1 099	2 194 336
2019	შესყიდვები	0	0	0	10 570	1 248	4 940	313 194	585 364	991 711	1 907 027
2019	გაყიდვები და ჩამორეზა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0
2019	საბოლოო ნაშთი 2019 31 დეკემბრის მდგომარეობით	243 500	95 528	655 725	406 541	16 106	17 618	1 089 270	585 364	992 810	4 101 363
2020	საწყისი ნაშთი 2020 1 იანვრის მდგომარეობით	243 500	95 528	655 725	406 541	16 106	17 618	1 089 270	585 364	992 810	4 101 363
2020	შესყიდვები	0	0	0	183 982	3 775	10 292	16 277	420 489	0	634 815
2020	გაყიდვები და ჩამორეზა	0	0	0	0	0	0	410 887	0	0	410 887
2020	საბოლოო ნაშთი 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით	243 500	95 528	655 725	590 523	19 881	27 910	694 660	420 489	0	2 748 216
ვგ-ს											
2018	საწყისი ნაშთი 2018 1 იანვრის მდგომარეობით	0	7969	1 544	242 235	908	1 761	181 803	0	653	436 873
2018	შესყიდვები	0	4202	48 602	67 401	1 448	1 862	132 950	0	148	256 613
2018	გაყიდვები და ჩამორეზა	0	12171	50146	309636	2356	3623	314753	0	801	693 486
2018	საბოლოო ნაშთი 2018 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	12171	50146	309636	2356	3623	314753	0	801	693 486
2019	საწყისი ნაშთი 2019 1 იანვრის მდგომარეობით	0	4776	32 845	23 359	3 056	2 423	155 166	19 512	3 643	244 780
2019	შესყიდვები	0	16947	82991	332995	5412	6046	469919	19512	4444	938 266
2019	გაყიდვები და ჩამორეზა	0	16947	82991	332995	5412	6046	469919	19512	4444	938 266
2019	საბოლოო ნაშთი 2019 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	4776	32 845	30 129	2 559	2 314	126 206	208 178	255 829	662 836
2020	საწყისი ნაშთი 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით	0	21723	115836	363124	7971	8360	596125	227690	260273	1 601 102
2020	შესყიდვები	243 500	83 357	605 579	86 335	11 403	9 055	461 323	0	298	1 500 850
2020	გაყიდვები და ჩამორეზა	243 500	78 581	572 734	73 546	9 595	11 572	619 351	565 852	988 366	3 163 097
2020	საბოლოო ნაშთი 2020 31 დეკემბრის მდგომარეობით	243 500	73 805	539 889	227 399	10 811	19 550	98 535	1 102 892	732 537	3 048 918

შპს "VVG" -ს

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი

15 დან 21-ის ჩათვლით წარმოდგენილი მუნიციპალიტეტის ფინანსური განყოფილებაში განთავსებული ნაწილია.

ვახტანგ ვასაძე

რეზონ ვანიძე



ძირითადი საშუალებები არის მატერიალური აქტივები, რომლებიც:

იმყოფება საწარმოს განკარგულებაში და გამოიყენება საქონლის წარმოებაში, საქონლის ან მომსახურების მისაწოდებლად, იჯარით გასაცემად ან ადმინისტრაციული მიზნებისათვის; გათვალისწინებულია ერთ საანგარიშგებო პერიოდზე მეტი ხნით გამოსაყენებლად.

კომპანია ძირითად საშუალებებს აღრიცხავს თვითღირებულებით, რომელიც მოიცავს შეძენის ღირებულებას, შეძენაზე დაუბრუნებლად გადასახადებს, ასევე პირდაპირი ხარჯებს, ადგილამდე მოწოდებასთან დაკავშირებით სამუშაო მდგომარეობაში მოყვანამდე. კომპანია ცვეთის გაანგარიშებისთვის იყენებს წრფივ მეთოდს.

საწარმომ ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი უნდა განსაზღვროს, როგორც სხვაობა ძირითადი საშუალების გასვლის შედეგად წარმოქმნილ წმინდა შემოსულობასა (თუ ასეთი არსებობს) და მის საბალანსო ღირებულებას შორის

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
მზა პროდუქცია	89146	89880	78047
ნედლეული და მასალები	279276	174350	602936
სხვა	0	0	0
	368423	264230	680982

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნა

სავაჭრო და სხვა მოთხოვნა 2020, 2019 და 2018 წლის 31 მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
მოთხოვნები მიწოდებიდან და მომსახურებიდან	2557642	1770687	1008436
საეჭვო მოთხოვნების ანარიცხიები	-28290	-126000	-161019
	2529352	1644687	847417

კომპანიამ ანარიცხი შექმნა 1 წელზე მეტი ხანდაზმულობის ყველა დებიტორული დავალიანებისათვის, რადგან წარსული გამოცდილების მიხედვით 1 წელზე ხანდაზმული დებიტორული დავალიანება, როგორც წესი, ამოუღებადია. 6 თვიდან 1 წლამდე ხანდაზმულობის დებიტორული დავალიანების ანარიცხი შექმნილია შეფასებული ამოუღებადი თანხების საფუძველზე, რაც განისაზღვრა წარსული გამოცდილების გათვალისწინებით, რომლის ხელახლა შეფასება რეგულარულად ხდება თითოეული საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული ფაქტებისა და გარემოებების საფუძველზე.

8. ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
ფული სალაროში	54204	95	114364
ფული ბანკში	14667	318549	17710
	68871	318644	132074

9. გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანუ აქტივი

გადახდილი ავანსები და სხვა მოკლევადიანი აქტივი 2020, 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
გადახდილი ავანსი	151600	139154	5121
სხვა	0	24882	14258
	151600	164036	19379

10. საწესდებო კაპიტალი

2020, 2019 2018 წლების 31 დეკემბრისათვის კომპანიის საწესდებო კაპიტალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
საწესდებო კაპიტალი	0	22100	22800

11. ნასესხები თანხები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ნასესხები თანხების შესახებ 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

დასახელება	2020	2019	2018
გრძელვადიანი სესხი	2030980	1976370	514245
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი	833639	550960	564258
	2864619	2527330	1078503

12. საიჯარო ვალდებულება

კერძოს საწარმოს გააჩნია ლიზინგის ხელშეკრულება შპს „საქართველოს სალიზინგო კომპანიასთან.

თავდაპირველი აღიარება

იჯარის ვადის დასაწყისისათვის მოიჯარემ მისი უფლებები აქტივის გამოყენებაზე და ვალდებულებები ფინანსურ იჯარაზე უნდა აღიაროს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც აქტივები და ვალდებულებები საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით, რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მოიჯარის ნებისმიერი თავდაპირველი პირდაპირი დანახარჯი (დამატებითი დანახარჯები, რომლებიც უშუალოდ არის დაკავშირებული საიჯარო გარიგების მოლაპარაკებასა და გაფორმებასთან) დაემატება აქტივის სახით აღიარებულ თანხას. მინიმალური საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულების გასაანგარიშებელი დისკონტირების განაკვეთი იქნება საიჯარო ხელშეკრულებაში ნაგულისხმევი საპროცენტო განაკვეთი, თუ მისი დადგენა შესაძლებელია; თუ არა, გამოყენებულ უნდა იქნეს მოიჯარის ზღვრული სასესხო საპროცენტო განაკვეთი.

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია ფინანსური იჯარის შესახებ 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დასახელება	2020	2019	2018
საიჯარო ვალდებულება	850944	492012	0

13. სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
მომწოდებლებთან წარმოქმნილი ვალდ.	821248	516082	575361
არარეზიდენტ მომწ. წარმოქმნილი ვალდ	1041	89110	186856
სხვა ვალდებულება	1166	3977	0
		0	
	823455	609169	762217

14. მიღებული ავანსები

ქვემოთ მოცემულია ინფორმაცია მიღებული ავანსების შესახებ 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით,

დასახელება	2020	2019	2018
მიღებული ავანსი	6704	0	1916

15. საგადასახადო ვალდებულება

საგადასახადო ვალდებულება 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
საგადასახადო ვალდებულება	16837	0	0

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოში ძალაში შევიდა მოგების გადასახადის ახალი მოდელი, ამ საგადასახადო მოდელის მიზანია გაამარტივოს გადასახადის ადმინისტრირება და ხელი შეუწყოს ბიზნესის განვითარებასა ეკონომიკურ ზრდას.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის შესწორების მთავარი არსი მდგომარეობს იმაში, რომ გადაავადოს მოგების გადასახადის გადახდის დრო წმინდა მოგების განაწილებამდე. ეს მოდელი გაზრდის თანხების ხელმისაწვდომობას და ხელს შეუწყობს გამომუშავებული თანხის რეინვესტირებას კომპანიებში. მოგების გადასახადი განაკვეთი იგივე 15% რჩება, ტექნიკურად 15%/85% გამოყენებული იქნება დაბეგვრის ობიექტად. გარდა ამისა, ნაცვლად წლიური ხარჯისა, მოგების გადასახადის დარიცხვა მოხდება ყოველთვიურად არა უგვიანეს მომდევნო თვის 15 რიცხვამდე.

მოგების გადასახადის ახალი მოდელის თანახმად მოგების გადასახადით დასაბეგრი ოპერაციებია:

- გადახდილი დივიდენდი
- სხვაობა საკონტრქტო ფასსა და საბაზრო ფასს შორის
- ხარჯები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- გადახდები, რომლებიც არაა დაკავშირებული ეკონომიკურ საქმიანობასთან
- საჩუქრები და უფასო მიწოდება
- წარმომადგენლობითი ხარჯი, რომელიც აღემატება ლიმიტს

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის მიხედვით, კომპანიამ გადასახადები უნდა გადაიხადოს გაერთიანებულ ანგარიშზე. შედეგად, 2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია წარადგენს საგადასახადო აქტივსა და ვალდებულებას ნეტო ღირებულებით.

16. ამონაგები

ამონაგები 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
შემოსავალი რეალიზიციიდან	2647256	3161808	1695148
შემოსავალი მომსახურებიდან	377676	317165	302996
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	(1895093)	(2122906)	(1309533)
საერთო მოგება	1129839	1356067	688612

ამონაგები ფასდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით. რეალური ღირებულება არის თანხა, რომლითაც აქტივი შეიძლება გაიცვალოს, ვალდებულება დაიფაროს, ან გამოყოფილი წილობრივი ინსტრუმენტი გაიცვალოს საქმის მცოდნე და გარიგების მსურველ მხარეებს შორის, “გაშლილი ხელის მანძილის” პრინციპით განხორციელებულ ოპერაციაში

რეალური ღირებულება მოიცავს ყველანაირ სავაჭრო ფასდათმობას, ასევე ვადაზე ადრე გადახდასა და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებულ ფასდათმობებს. სავაჭრო და პარტიის მოცულობაზე დამოკიდებული ფასდათმობები, ზოგადად, ცნობილი გახდება გაყიდვის მომენტში. ვადაზე ადრე გადახდაზე დამოკიდებული ფასდათმობები საწარმოსგან მოითხოვს შეფასების გაკეთებას პერიოდის ბოლოს ნებისმიერი გადაუხდელი მოთხოვნის საფუძველზე. ბევრი საწარმო ამონაგებს აღრიცხავს გაყიდვის მთლიანი თანხით და ნებისმიერი ფასდათმობის აღსარიცხად ცალკე ანგარიშს გამოიყენებს. ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას მნიშვნელოვანია ამგვარი ანგარიშების დახურვა ამონაგების საწინააღმდეგოდ და მხოლოდ წმინდა ამონაგების რიცხვითი მნიშვნელობის წარდგენა.

17. რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
ძირითადი მასალების დანახარჯები/შემენა	(1895096)	(2122906)	(1309533)

18. ზოგადი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები

ზოგადი ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯები 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2020	2019	2018
შრომის ანაზღაურება	(214573)	(48636)	(47880)
საპენსიოს ხარჯი	(5521)	(2361)	0
ბანკის საკომისიო	(4341)	(13367)	(5183)
ინტერნეტის ხარჯი	(0)	(0)	(966)
საექვო მოთხოვნების ხარჯი	(0)	(0)	(112383)
ქონების გადასახადის ხარჯი	(14577)	(14389)	10978
დაზღვევა	(24673)	(17312)	(1257)
ცვეთა და ამორტიზაცია	(394490)	(199001)	(191896)
აუდიტის ხარჯი	(4500)	(4000)	(3000)
სხვა საერთო ხარჯი	(34910)	(5715)	(6117)
	(697585)	(304782)	(379660)

19. საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი (ნეტო)

საკურსო სხვაობიდან მიღებული მოგება/ზარალი 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
შემოსავალი საკურსო სხვაობიდან			
საკურსო სხვაობის ზარალი	(640298)	(47568)	(89447)
	(640298)	(47568)	(89447)

20 საპროცენტო ხარჯი

საპროცენტო ხარჯი 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
საპროცენტო ხარჯი	(250821)	(85130)	(75461)

21. სხვა არასაოპერაციო შემოსავალი

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი 2020 2019 და 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

დასახელება	2020	2019	2018
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	159386	91278	12681

ფაქტიური და პოტენციური ფინანსური ვალდებულებები საგადასახადო სისტემა

საქართველოში მოქმედებს საგადასახადო კოდექსი, რომელიც ადგენს სამართლებრივ მექანიზმებს გადასახადების დარიცხვასა და გადახდასთან. ძირითადი გადასახადები, რომლებიც ამოიღება საქართველოში არის მოგების გადასახადი, საშემოსავლო გადასახადი ფიზიკური პირებიდან, დღგ, ქონების გადასახადი, მიწის გადასახადი და სხვა გადასახადები.

საგადასახადო დეკლარაციის შედგენის სისწორე მოწმდება საქართველოს სხვადასხვა სახის მაკონტროლებელი ორგანოების მიერ.

ხელმძღვანელობა თვლის, რომ კომპანიის საქმიანობა ხორციელდება კანონთან სრულ შესაბამისობაში იმ შემთხვევაში, როდესაც არსებობს შედარებით გაურკვეველობა ამა თუ იმ გადასახადის გადახდასთან დაკავშირებით, დარიცხვები ხორციელდება ხელმძღვანელობის მიერ ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე.

დაზღვევა

კომპანიას საანგარიშო პერიოდში სარგებლობს სადაზღვევო მომსახურებით, კერძოდ ტექნიკის დაზღვევით და 2020 2019 და 2018 წელში ხარჯი შეადგენს შესაბამისად 24673, 17312 და 1257 ლარს.

1. ფინანსური რისკის ფაქტორები

რისკების მართვის სტრუქტურა

ხელმძღვანელობას აქვს მთლიანი პასუხისმგებლობა კომპანიის რისკების მართვის სტრუქტურის დადგენასა და მიმოხილვაზე და ის პასუხს აგებს კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგზე და მისი საქმიანობის შესახებ აქციონერებისთვის რეგულარულ ანგარიშგებაზე.

კომპანიის რისკების მართვის პოლიტიკები განისაზღვრება კომპანიის მიერ, მის წინაშე არსებული რისკების იდენტიფიცირებისა და ანალიზისთვის, შესაბამისი რისკების საზღვრებისა და საკონტროლო მექანიზმების განსაზღვრისთვის და რისკებისა და საზღვრების დაცვის გაკონტროლებისთვის. რისკების მართვის პოლიტიკები და სისტემები რეგულარულად განიხილება ბაზრის პირობებსა და კომპანიის საქმიანობაში ცვლილებების ასახვის მიზნით. სასწავლო და მართვის სტანდარტებისა და პროცედურების გამოყენებით, კომპანიის მიზანს წარმოადგენს შეიმუშაოს დისციპლინირებული და კონსტრუქტიული კონტროლის გარემო, რომელშიც ყველა თანამშრომელს ესმის მისი ფუნქცია და ვალდებულება.

საკრედიტო რისკი

საკრედიტო რისკი არის კომპანიის ფინანსური დანაკარგის რისკი, როდესაც მომხმარებელი ან ფინანსური დოკუმენტის ხელშემკვერელი მხარე ვერ შეასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვალდებულებებს და ის ძირითადად წარმოიშობა კომპანიის ფულადი სახსრებიდან და მათი ეკვივალენტებიდან, ვადიანი დეპოზიტებიდან, შეზღუდული ფულადი ნაშთებიდან და საკრედიტო მოთხოვნებიდან.

სავალუტო რისკი

კომპანიის ოპერაციები ხორციელდება როგორც ეროვნულ ვალუტაში, ისე უცხოურ ვალუტაში. დებიტორული და კრედიტორული დავალიანებები ძირითადად ლარზე ხორციელდება. ასეთი

სიტუაცია იწვევს საკუროს სხვაობის ცვლილებით გამოწვეული რისკების მინიმალურ არსებობას. თუმცა დებიტორულ და კრედიტორულ დავალიანებებზე წარმოიქმნება საკუროს სხვაობები, რომლებიც ჩართულია ანგარიშგებებში.

ლიკვიდურობის რისკი

კომპანიის ამოცანაა შეინარჩუნოს ბალანსი უწყვეტი დაფინანსებისა მოქნილობაში, კომპანია ახდენს დავალიანებების ვადიანობის ანალიზს და გეგმავს მის ლიკვიდურობას შესასრულებელი ვალდებულებების ვადების შესაბამისად. არასაკმარისი ლიკვიდურობის პირობებში მოიზიდავს დამატებით დაფინანსების წყაროებს.

შპს "V V G "

დირექტორი

ფინანსური მენეჯერი



ვახტანგ ვასაძე

რეზო ვანიძე